



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 31 1171

24/04/2018

1171-31-4-201804241002



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, 65000-დან 100001-ი ქულის ჩათვლით მქონე, სოციალურად დაუცველი, საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N55 დადგენილების მე-16 მუხლის 5 პუნქტის 5.2.5 ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 05 იანვრის N36 -2 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

- 1.დანართი №1-ის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომლებიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული არიან 65000-დან 100001-ი ქულის ჩათვლით და ღებულობენ საარსებო შემწეობას გამოეყოს ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულს 250 (ორასორმოცდაათი) ლარი.
- 2.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს თანხის გაცემა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 3.ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
- 4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრავას ქ.N11)

გრიგოლ იოსელიანი

მუნიციპალიტეტის მერი

